



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

MONEYVAL– ის შეფასება საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

ძირითადი მიგნებები

MONEYVAL-ის ანგარიშის თანახმად, საქართველოში შეფასების მისიამ ხარვეზები გამოავლინა ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საფრთხისა იდენტიფიკაციის ისევე, როგორც მათთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერების მხრივ.

MONEYVAL-ის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს საჯარო და კერძო სექტორებში საჭიროა დამატებითი კეთილსინდისიერების ანალიზის განხორციელება, რადგან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებული ეროვნული რისკების შეფასება არ არის საკმარისად მეთოდოლოგიური და სათანადოდ არ ფარავს ამ საკითხს.

MONEYVAL-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ ქვეყანაში არაფორმალური ეკონომიკის ფაქტორი საკმარისად არ არის გაანალიზებული და საერთოდ უგულებელყოფილია მდიდარ, პოლიტიკასთან დაკავშირებულ ადგილობრივ და უცხოელ პირებთან დაკავშირებული ფულის გათეთრების რისკები.

MONEYVAL-ის ანგარიშის თანახმად, საქართველოს ხელისუფლებამ სრულად არ შეაფასა ტერორიზმის დაფინანსების პოტენციური რისკის ყველა ფორმა, განსაკუთრებით, “ტრედილინგი” ფინანსური ნაკადების მოცულობა, წარმოშობა და დანიშნულება ისევე, როგორც არაკომერციული ორგანიზაციების ბოროტად გამოყენების პოტენციალი.

MONEYVAL-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ არ არსებობს რაიმე დამცავი ბარიერი უძრავი ქონების სექტორის ფულის გათეთრებისა თუ ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენებს პრევენციისთვის. ხოლო კაზინოებისა და უძრავი ქონების გარიგებების ზედამხედველობა არ შეესაბამება არსებულ რისკებს.

MONEYVAL აცხადებს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (ერთადერთი დამცავი ბერკეტი უძრავი ქონების სექტორში) გათავისუფლება ანგარიშგების ვალდებულებისგან სერიოზული შემფოთების საგანია.

ფინანსური დაზვერვის სამსახური სარგებლობს ოპერატიული დამოუკიდებლობით, მაგრამ განიცდის ადამიანური რესურსების ნაკლებობას. ამავდროულად, მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციისა და მონაცემების ეფექტური გაცვლისა და მუშაობის გასაუმჯობესებლად.

MONEYVAL-ის ანგარიში ცხადჰყოფს, რომ ფულის გათეთრების პოტენციური შემთხვევები საქართველოში საკმარისად არ არის გამოვლენილი და მცირეა ფულის გათეთრების რთულ საქმეებში ბრალდების მაჩვენებელი.

MONEYVAL-ის შეფასების ჯგუფი თვლის, რომ საქართველოში ნაღდი ფულის მიმოქცევის მაღალი მაჩვენებლით გამოწვეული რისკების სათანადოდ შეფასება არ ხდება, ხოლო უძრავი ქონების სექტორის ეფექტური დამცავი ბარიერი არ არსებობს.

კაზინოების ლიცენზირების მოთხოვნების კუთხით არსებული ტექნიკური ხარვეზები სერიოზულ საფრთხეს უქმნის კრიმინალების ან მათი მხარდამჭერების მიერ კაზინოს მნიშვნელოვანი ან მაკონტროლებელი წილის ფლობის ან ბენეფიციარი მესაკუთრეობის, კაზინოს ფლობის ან მართვის თავიდან აცილების ეფექტიანობას.

MONEYVAL–ის შეფასების ჯგუფის დასკვნით, ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციის მიღების არსებული მექანიზმები არასანდოა, რადგან მათი მეშვეობით მიღებული ინფორმაცია ყოველთვის არ არის ადეკვატური, ზუსტი და განახლებული.

MONEYVAL–ის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოში დასტურდება იურიდიული პირების, მათ შორის ფიქტიური კომპანიების, ბოროტად გამოყენება და ხელისუფლებას არ მიუღია შესაბამისი ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

სისხლისსამართლებრივი ზომები, მიუხედავად საჭიროებისა, არ გამოიყენება იურიდიული პირების წინააღმდეგ და შესაბამისად, იურიდიული პირების ბოროტად გამოყენების პრაქტიკის აღკვეთა ვერ ხერხდება.

შესავალი

საქართველოში ფულის გათეთრების რისკები დიდი ხანია არსებობს და წარმოადგენს როგორც შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე სტრატეგიული პარტნიორების განხილვის საგანს. აღნიშნული საკითხი წლების განმავლობაში ექცეოდა ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) სახელმწიფო დეპარტამენტის ყურადღების ქვეშ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო ანგარიშის თანახმად¹ საბანკო თაღლითობა და კიბერდანაშაული საქართველოში უკანონო შემოსავლების მიღების მნიშვნელოვანი წყაროა, ხოლო მასობრივი მარკეტინგული თაღლითობისთვის ასევე გამოიყენება სოციალური ინჟინერიის სქემები. საქართველოში არსებული ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც შორს არის განვითარებული ეკონომიკისაგან, ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ფულის გათეთრებისთვის. ამავდროულად, შემამფოთებელია აზარტული თამაშების ინდუსტრიის, მათ შორის, ინტერნეტ თამაშების, უკონტროლო ზრდა.²

ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა (MONEYVAL)³ 2020 წლის 2 ნოემბერს გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააძლიეროს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა.⁴ ანგარიში აფასებს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველოს სისტემის ეფექტიანობას და მის შესაბამისობას ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ 2012 წელს გაცემულ [რეკომენდაციებთან](#).

FATF–ის რეკომენდაციები მოიცავს და შესაბამისად, MONEYVAL–ის ანგარიში აფასებს ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ შემდეგ სფეროებს:

¹ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო, ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის შესახებ სტრატეგიის ანგარიში, ნაწილი II, ფულის გათეთრება, 2020 წ. ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

² იქვე.

³ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი კომიტეტი - MONEYVAL არის ევროსაბჭოს მუდმივი მონიტორინგის ორგანო, რომელია აღჭურვილია უფლებამოსილებით, შეაფასოს წევრ ქვეყნებში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ არსებული შიდა საშუალებების ძირითად საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, განსაზღვროს მათი ეფექტიანობა და შეიმუშაოს რეკომენდაციები.

⁴ MONEYVAL, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და ანტიტერორისტული დაფინანსების ზომები - საქართველო, მეხუთე რაუნდის ორმხრივი შეფასების ანგარიში, ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

- ✓ რისკები და პოლიტიკა ისევე, როგორც შიდა კოორდინაცია;
- ✓ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სამართლებრივი დევნა;
- ✓ პრევენციული ზომები ფინანსურ და სხვა შერჩეულ სექტორებში;
- ✓ კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები (მაგალითად, საგამოძიებო, სამართალდამცავი და საზედამხედველო ორგანოები) და სხვა ინსტიტუციური ზომები;
- ✓ იურიდიული პირების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობა.

MONEYVAL-ის ანგარიში მხედველობაში იღებს და აფასებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ საქართველოს ეროვნული რისკების შეფასების 2019 წლის დოკუმენტს (NRA).⁵

MONEYVAL-ის ანგარიშის მიხედვით საქართველომ ეფექტიანობის საშუალო დონეს მიაღწია FATF-ის სტანდარტებით დაფარულ ყველა სფეროში გარდა შემდეგი სფეროებისა:

1. საერთაშორისო თანამშრომლობა - ეფექტიანობის მაღალი დონე;
2. ტერორიზმის დაფინანსების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა - ეფექტიანობის მაღალი დონე;
3. ტერორისტების, ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათი დამფინანსებლების მიერ დაფინანსების მოძიების, გადატანისა და გამოყენების ისევე, როგორც არაკომერციული სექტორის ბოროტად გამოყენების პრევენცია - ეფექტიანობის დაბალი დონე.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია MONEYVAL-ის ანგარიშში გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები.

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა და კოორდინაცია

MONEYVAL-ის ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საკმაოდ კარგად აცნობიერებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებს, ხარვეზები გამოვლინდა ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საფრთხისა და მოწყვლადობის იდენტიფიკაციის ისევე, როგორც მათთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერების მხრივ. რისკების გაცნობიერების დონე განსხვავებულია საჯარო სექტორში და ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ფიქსირდება ფინანსური

⁵ საქართველოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასება (2019 წ.), ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

მონიტორინგის სამსახურში, ეროვნულ ბანკში, გენერალურ პროკურატურასა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

MONEYVAL-ის ანგარიშის თანახმად, საქართველოს საჯარო და კერძო სექტორებში საჭიროა დამატებითი კეთილსინდისიერების ანალიზის განხორციელება, რადგან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებული ეროვნული რისკების შეფასება არ არის საკმარისად მეთოდოლოგიური და ის საჯარო და კერძო სექტორებში კეთილსინდისიერებას განიხილავს, როგორც ფულის გათეთრების სპეციფიკურ საფრთხეს (კორუფციული დანაშაული) და არა როგორც ფაქტორს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ზოგადად საზედამხებველო და სამართალდამცავი საქმიანობის ეფექტიანობაზე.

MONEYVAL-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ ქვეყანაში არაფორმალური ეკონომიკის ფაქტორი საკმარისად არ არის გაანალიზებული - საქართველოს ხელისუფლებამ არ გააანალიზა არაფორმალური ეკონომიკის მახასიათებლები საქართველოში ნაღდი ფულის ფართო გამოყენებასა და ფულის გათეთრებაზე/ტერორიზმის დაფინანსებაზე მის გავლენასთან დაკავშირებით. ამ სფეროს კარგად შესწავლა აუცილებელია, რადგანაც ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულებიდან შემოსავალი ხშირად ნაღდი ფულის სახით მიიღება და საქართველოში ის ფართოდ გამოიყენება, როგორც ანაზღაურების საშუალება უძრავი ქონების სფეროში.

ეროვნული რისკების შეფასების ანგარიში სათანადო ყურადღებას არ უთმობს საქართველოს გეოგრაფიულ სიახლოვეს და მის სავაჭრო გზებს იმ ადგილებთან, სადაც ტერორისტული ჯგუფები აქტიურები არიან ისევე, როგორც იმიგრაციასთან დაკავშირებულ მონაცემებს. გარდა ამისა, **ეროვნული რისკების შეფასების ანგარიში საერთოდ უგულებელყოფს მდიდარ, პოლიტიკასთან დაკავშირებულ ადგილობრივ და უცხოელ პირებთან და მათ კონტაქტებთან დაკავშირებულ ფულის გათეთრების რისკებს** მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ბანკი პოლიტიკასთან დაკავშირებული უცხოელი პირის ნაწილობრივ საკუთრებაშია, ხოლო კიდევ ერთი ბანკი მთლიანად ეკუთვნის პოლიტიკასთან დაკავშირებულ ადგილობრივ პირს.

MONEYVAL-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეროვნული რისკების შეფასების ანგარიშმა შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანოს კომპეტენტური ორგანოები და პირები, რომლებიც პოლიტიკას შეიმუშავენ ისევე, როგორც კერძო სექტორი, რადგან ის მხოლოდ აზარტულ თამაშებსა და იურიდიულ პირებს მიიჩნევს ფულის გათეთრების ყველაზე მაღალი რისკის შემცველ სფეროებად მაშინ, როცა საბანკო ანგარიშების ხშირი გამოყენება, არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების საგადასახადო მომსახურება, უძრავი ქონების და ნაღდი ფულის გამოყენება ასევე უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში ფულის გათეთრების მნიშვნელოვან რისკად.

MONEYVAL-ის ანგარიშის თანახმად, საქართველოს ხელისუფლებამ სრულად არ შეაფასა ტერორიზმის დაფინანსების პოტენციური რისკის ყველა ფორმა, განსაკუთრებით, “ტრეიდინგი” ფინანსური ნაკადების მოცულობა, წარმოშობა და დანიშნულება ისევე, როგორც არაკომერციული ორგანიზაციების ბოროტად გამოყენების პოტენციალი. MONEYVAL-ის ანგარიშის მიხედვით ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განხორციელებული ეროვნული რისკების შეფასების ანგარიში ზოგადად საუბრობს არაკომერციულ სექტორში არსებულ რისკებზე, თუმცა, არ არის შესწავლილი ის მახასიათებლები და საქმიანობის ტიპები,

რომელთა გამო არაკომერციული ორგანიზაციები შესაძლოა, ტერორიზმის დაფინანსების რისკს შეიცავდნენ. ქვეყანაში არსებობს არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების რეგისტრაციისა და მონიტორინგის ჩარჩო, მაგრამ ის მხოლოდ საგადასახადო საკითხებზეა ფოკუსირებული, ტერორიზმის დაფინანსების საკითხებზე ორიენტირებული ან რისკზე დაფუძნებული მიდგომა კი ამ სექტორისთვის არ არსებობს.

რისკების შეფასების ეროვნულ ანგარიშში გაანალიზებული არ არის ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერებთან (VASP), კოლექტიურ საინვესტიციო ფონდებსა და მათ მენეჯერებთან, ტრასტის და კომპანიის სერვისების მომწოდებლებთან (TCSP) დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები. ხელისუფლებამ ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ სხვა სფეროები, რომლებზეც ზედამხედველობა არ ხორციელდება (რადგან გამონაკლისების სიაშია შეყვანილი), ნამდვილად ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დაბალ რისკს შეიცავენ და, რომ გამონაკლისი მხოლოდ მკაცრად შეზღუდულ და გამართლებულ გარემოებებში დაიშვება. მაგალითად, **ეროვნული რისკების შეფასების ანგარიშით უძრავი ქონების სექტორი ფულის გათეთრების საშუალო რისკითაა შეფასებული, თუმცა, უძრავი ქონების აგენტები სრულად გათავისუფლებული არიან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგოდ დაწესებული ვალდებულებებისაგან.**

ხელისუფლების განმარტებით ეს იმითაა განპირობებული, რომ ასეთ აგენტებს შეზღუდული როლი აქვთ უძრავი ქონების გარიგებებში. თუმცა, ამავე დროს, ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ბაზარზე უძრავი ქონების აგენტების ზუსტი რაოდენობა უცნობია, რადგან ისინი არ არიან რეგისტრირებულნი. მათ ვერ შეძლეს რაიმე რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების წარმოდგენა უძრავი ქონების სექტორის ზემოთ აღნიშნული ვალდებულებებისაგან გათავისუფლების დასასაბუთებლად. შესაბამისად, MONEYVAL-ის მისიამ დაადგინა, რომ საქართველოში არ არსებობს რაიმე დამცავი ბარიერი უძრავი ქონების სექტორის ფულის გათეთრებისა თუ ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენებს პრევენციისთვის.

MONEYVAL-ის ანგარიში მიუთითებს, რომ საქართველოში არ არსებობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო სექტორული პოლიტიკა სალიზინგო კომპანიებისა და არაფინანსური საქმიანობისა თუ პროფესიების ზედამხედველობასთან მიმართებით. **შესაბამისად, კაზინოებისა და უძრავი ქონების გარიგებების ზედამხედველობა არ შეესაბამება ეროვნული რისკების შეფასების ანგარიშით განსაზღვრულ რისკებს.** კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს მიერ არსებითი ნაბიჯები არ გადადგმულა დამნაშავეების მიერ კაზინოების ფლობის ან კონტროლის თავიდან აცილების მიზნით.

MONEYVAL-ის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში კომპეტენტური ორგანოების საქმიანობა სრულად არ შეესაბამება ეროვნული რისკების შეფასების ანგარიშით გამოვლენილ რისკებს და მათ მიერ რისკების აღქმა განსხვავებულია ისევე, როგორც საქმიანობის ფოკუსი და პრიორიტეტები.

პოლიტიკისა და კოორდინაციის სფეროში იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და ხარვეზების საპასუხოდ MONEYVAL-მა საქართველოსთვის გასცა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

- 1) საქართველომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ყველა კომპუტენტურ ორგანოში იდენტიფიცირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების უკეთესად გაცნობიერების უზრუნველსაყოფად;
- 2) საქართველომ უკეთ უნდა გააცნობიეროს და შეაფასოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები. ამ მიზნით, ხელისუფლებამ უნდა გაანალიზოს და შეაფასოს:
 - დანაშაულები, რომლებიც შემოსავლის წარმოშობის ძირითად წყაროს წარმოადგენენ - აღნიშნული უნდა განხორციელდეს სრულფასოვან მონაცემებსა და იდენტიფიცირებულ ტიპოლოგიებზე დაყრდნობით. ასევე, ფოკუსი უნდა გაფართოვდეს, რომ მოიცვას ტრედიდინგთან დაკავშირებული ფულის გათეთრების საფრთხეები (საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ჩათვლით);
 - უძრავი ქონების სექტორში არსებული ფულის გათეთრების რისკები ისევე, როგორც ნაღდი ფულის ფართო მოხმარება;
 - პოტენციურ კონტექსტუალურ მოწყვლადობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკები (საჯარო და კერძო სექტორში კეთილსინდისიერების დონე; არაფორმალური/ნაღდი ფულის ეკონომიკა და არადეკლარირებული სიმდიდრე; გეოგრაფიული, ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები; პოლიტიკასთან დაკავშირებული პირების არსებობა (რომელთაგან ზოგი შესაძლოა დიდი სიმდიდრის მფლობელი იყოს));
 - ტერორიზმის დაფინანსების რისკები, მათ შორის, ფინანსური ნაკადების მოცულობა, წარმოშობა და დანიშნულება, ტრედიდინგზე დაფუძნებული ტერორიზმის დაფინანსება და არაკომერციული ორგანიზაციების ბოროტად გამოყენება.
- 3) საქართველომ სწრაფად უნდა გადახედოს გადაწყვეტილებას FATF რეკომენდაციების კონკრეტულ სექტორებზე გაუზრცელებლობის შესახებ და უნდა უზრუნველყოს, რომ გამონაკლისები დაიშვება მხოლოდ მკაცრად შეზღუდული და გამართლებულ გარემოებების არსებობისას, როდესაც არსებობს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დადასტურებულად მცირე რისკი;
- 4) საქართველომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ახალი კანონის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, რომელიც შეიკრიბება რეგულარულად და განამტკიცებს კომპუტენტურ ორგანოებს შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საკითხებზე თანამშრომლობასა და კოორდინაციას;
- 5) საქართველომ უნდა უზრუნველყოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული სტრატეგიისა და სრულყოფილი სამოქმედო გეგმის შემუშავება იდენტიფიცირებული რისკების შესაბამისად;

- 6) საქართველომ უნდა გააუმჯობესოს შესაბამისობა, ერთი მხრივ, კომპეტენტური ორგანოების მიზნებსა და აქტივობებს, მეორე მხრივ კი, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნულ პოლიტიკებსა და რისკებს შორის;
- 7) საქართველომ უნდა შეიმუშავოს ფორმალური ბერკეტები ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო მუდმივმოქმედ უწყებათაშორის კომისიასა და სხვა მნიშვნელოვან სუბიექტებს შორის უკეთესი კოორდინაციისთვის.
- 8) საქართველომ უნდა შეაფასოს არაკომერციული ორგანიზაციების ტერორიზმის დაფინანსებისთვის გამოყენების რისკი, შეიმუშაოს და დანერგოს რისკებზე დაფუძნებული მიდგომა ამ სექტორის მონიტორინგისთვის.
- 9) საქართველოს უნდა ჰქონდეს კომუნიკაცია არაკომერციულ ორგანიზაციებსა და დონორთა საზოგადოებასთან ტერორიზმის დაფინანსების საფრთხეებისა და მოწყვლადობის შესახებ.

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო სამართლებრივი სისტემა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ქართული სამართლებრივი სისტემისა და ოპერატიული საკითხების შეფასებისას MONEYVAL-ის ანგარიში აღნიშნავს, რომ საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების უმეტესობა იშვიათად იყენებს ფინანსურ დაზვერვას სიღრმისეული ანალიზის განსახორციელებლად ფულის გათეთრების რთული საქმეების გამოძიების მიზნით.

ანგარიშის თანახმად, საქართველოში არ არსებობს არც ფორმალური პროცედურა და არც საკმარისად დახვეწილი ანალიტიკური ინსტრუმენტები მონაცემთა მოპოვებისა და ფინანსური ცნობების ანალიზისთვის. შესაბამისად, **ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოპერატიული ანალიზი ხშირად საკმარისად ყოვლისმომცველი არაა - საქმეებს აკლია ანალიტიკური მონაცემები და საჭიროებს საეჭვო გარიგების ანგარიშების შინაარსის დახვეწას.** MONEYVAL-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებული სტრატეგიული ანალიზი ნაკლოვანია, ხოლო სავალუტო ტარიფების ანგარიშებსა და საზღვრისპირა ფულად დეკლარაციებში შეტანილი ინფორმაციის გამოყენება თითქმის არ ხდება.

საჭიროა გაიზარდოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწყებული გამოძიების მაჩვენებელი და აღნიშნული სამსახურის შესაძლებლობა, რომ გამოავლინოს ფულის გათეთრების უფრო რთული შემთხვევები. იგივე ეხება ტერორიზმის დაფინანსებას, რადგან ამ მიმართულებით ინფორმაციის გაცემა მხოლოდ ჩამონათვალთან პირის მისადაგებისა და მაღალი რისკის მქონე ქვეყანასთან კავშირის შესახებ ხდება.

საქართველოში საეჭვო ფინანსური აქტივობის შესახებ მომზადებული ანგარიშების რაოდენობა და ხარისხი ბანკების გარდა სხვა სექტორებში ჯერ კიდევ დაბალია ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ კერძო სექტორისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და

ტრენინგების არასაკმარისად უზრუნველყოფის, შესაბამისი ფორმების შევსების სირთულის და იმის გამო, რომ არსებობს სასამართლოში ბანკის იმ თანამშრომლების დაბარების და ახსნა-განმარტების მოთხოვნის შემთხვევები, რომლებმაც საექვო ფინანსური აქტივობის შესახებ განაცხადეს. ფინანსური მონიტორინგის სამსახურს არ გააჩნია წერილობითი კრიტიკიუმები იმის შესახებ, თუ რა მიიჩნევა საექვო ფინანსური აქტივობის შესახებ მაღალი ხარისხის მოხსენებად. ასეთი მოხსენების წარმდგენი უწყებებისთვის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემული სექტორული რეგულაციები არ შეიცავს დეტალურ მითითებებს.

ეროვნული რისკების შეფასების ანგარიშის თანახმად, საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე ფულის გათეთრების საშუალო რისკია და უძრავი ქონება ხშირად გამოიყენება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში. ამის **გათვალისწინებით, MONEYVAL აცხადებს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (ერთადერთი დამცავი ბერკეტი უძრავი ქონების სექტორში) გათავისუფლება ანგარიშგების ვალდებულებისგან სერიოზული შემფოთების საგანია.** ზოგადად, MONEYVAL-ის გუნდი მიიჩნევს, რომ უძრავი ქონების აგენტების, ტრასტის და კომპანიის სერვისების მიმწოდებლების, კოლექტიური საინვესტიციო ფონდებისა და ფონდის მენეჯერების, ბუღალტრებისა და ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერებისთვის ანგარიშგების ვალდებულებაზე გამონაკლისების გავრცელება საქართველოს წაართმევს ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს, რაც შეიძლება ნეგატიურად აისახოს ფულის გათეთრების, მასთან დაკავშირებული დანაშაულებისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენასა და დევნაზე.

MONEYVAL-ის გუნდი მიიჩნევს, რომ **ფინანსური დაზვერვის სამსახური სარგებლობს ოპერატიული დამოუკიდებლობით, მაგრამ განიცდის ადამიანური რესურსების ნაკლებობას.** ფინანსური მონიტორინგის სამსახურში არ არსებობს სტრატეგიული ანალიზის ცალკე განყოფილება და მხოლოდ მცირე რაოდენობის სტრატეგიული ანალიზია განხორციელებული - ძალზე შეზღუდული შინაარსით, რაც არასაკმარისია სხვა კომპეტენტური ორგანოების მუშაობის მხარდასაჭერად. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობით არ ჩატარებულა სტრატეგიული ანალიზი. ამრიგად, MONEYVAL-ის დასკვნით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს სჭირდება ადამიანური რესურსის, ბიუჯეტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტების მნიშვნელოვნად გაზრდა იმისთვის, რომ მოახდინოს ფულის გათეთრების რთული შემთხვევების სიღრმისეული ანალიზი; უკეთესად და უფრო სრულყოფილად განახორციელოს სტრატეგიული ანალიზი; ადეკვატურად უპასუხოს აზარტული თამაშების მზარდ სექტორს და ა.შ.

MONEYVAL-ის გუნდის თანახმად, საჭიროა **მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციისა და მონაცემების ეფექტური გაცვლისა და მუშაობის გასაუმჯობესებლად.** ფინანსური დაზვერვის წარმატების შემცირებული მაჩვენებელი, რომელიც გარდაიქმნება საექვო ფინანსური აქტივობის ანგარიშებზე დაფუძნებულ გამოძიებებში, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აღნიშნული ანგარიშების ხარისხს და მათ ანალიზს. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოპერატიული ანალიზი, როგორც წესი, ტარდება ეფექტიანად, მაგრამ ხშირად არ არის საკმარისად ყოვლისმომცველი.

MONEYVAL– ის ანგარიში ცხადყოფს, რომ ფულის გათეთრების პოტენციური შემთხვევები საქართველოში საკმარისად არ არის გამოვლენილი. ფულის გათეთრების გამოძიების საერთო რაოდენობა მასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან შედარებით მცირეა; საბანკო სექტორის თანამშრომელთა მიმართ საქმეების რაოდენობა მოსალოდნელზე დაბალია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებობს ბანკის თანამშრომელთა მხრიდან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო მოთხოვნების დარღვევის მაგალითები. ანგარიშის თანახმად ასევე შეინიშნება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ფულის გათეთრების პოტენციური საქმეების აქტიურად გამოვლენის ნაკლებობა.

MONEYVAL–ის გუნდი მიიჩნევს, რომ საქართველოში მცირეა ფულის გათეთრების რთულ საქმეებში ბრალდების მაჩვენებელი. გარდა ამისა, იურიდიული პირების ბრალდების წილი მოსალოდნელზე დაბალია იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიული პირები ფულის გათეთრების მიზნით ფართოდ გამოიყენება.

სამართლებრივი სისტემისა და ფუნქციონირების სფეროში იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და ხარვეზების საპასუხოდ MONEYVAL–მა საქართველოსთვის გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1) საქართველომ უნდა განაგრძოს პარალელური ფინანსური გამოძიებების ხარისხის გაუმჯობესება და გაზარდოს და გააღრმავოს ფინანსური გამოძიების მონაცემთა ანალიზი ფულის გათეთრების იდენტიფიცირების მიზნით;
- 2) ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმი ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის მის მიერ სამართალდამცავი უწყებებისთვის მიწოდებული ფინანსური გამოძიების მონაცემთა ხარისხისა და გამოყენების შესახებ უკუკავშირის დროულად მიწოდების უზრუნველსაყოფად;
- 3) ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა უნდა გააუმჯობესოს ინფორმაციის ოპერატიული ანალიზი საეჭვო ქმედებებისა და ტიპოლოგიების იდენტიფიცირების მიზნით; უნდა შეიმუშაოს ფორმალური პროცედურა ფინანსური გამოძიების მონაცემთა ოპერატიული ანალიზის ჩატარებისა და პრიორიტეტიზაციისთვის; უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული ანალიზი სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიული საქმიანობების მხარდაჭერისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
- 4) საქართველომ უნდა დაწესდეს სახელმძღვანელო პრინციპები ანგარიშვალდებულ დაწესებულებებს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფისთვის;
- 5) პროკურორებმა უნდა გადახედონ საქმის წარმოების კრიტერიუმებსა და პრაქტიკას, რათა გააუმჯობესონ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებიც რთულ ან კომპლექსურ ფაქტორებს მოიცავს.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია

საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ პრევენციული ზომების შეფასების კუთხით MONEYVAL–ის ანგარიშში მითითებულია, რომ

საქართველოში ნადდი ფულის მიმოქცევის მაღალი მაჩვენებლით გამოწვეული რისკების სათანადოდ შეფასება არ ხდება. ხშირ შემთხვევაში მომხმარებლისთვის საბანკო ანგარიშზე დიდი თანხის შეტანა ან ანგარიშიდან გატანა შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ზომების გამოყენების გარეშე.

ანგარიშის თანახმად, ზოგადად, საქართველოში ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ მომხმარებელთა რისკის შეფასების (CDD) მოთხოვნებს და უარს ამბობენ ურთიერთობის გაგრძელებაზე, როდესაც CDD არასრულია. თუმცა, **მცირე ფინანსური ინსტიტუტები სრულად არ იყენებენ რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას** და ცდილობენ გაარკვიონ ბენეფიციარ მესაკუთრეთა ვინაობა, ძირითადად, საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაციის გამოყენებით (სადაც სრული ინფორმაცია შეიძლება არ მოიპოვებოდეს). ამას გარდა, **MONEYVAL-ის შეფასების ჯგუფი თვლის, რომ საჯარო რეესტრი რისკის შეფასების კრიტერიუმებს არასაკმარისად იყენებს.**

MONEYVAL ანგარიშში აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც რეგულაციებისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესრულების საკითხებში შესაბამისობის ოფიცრები, რომლებმაც მოახდინეს ფულის გათეთრების საეჭვო საქმეების შეტყობინება, დაბარებულნი იყვნენ სასამართლოში თავიანთი ქმედების საფუძვლების ასახსნელად. შეფასების ჯგუფმა მიიჩნია, რომ მსგავსმა მიდგომამ შეიძლება ხელი შეუშალოს მხილებას.

MONEYVAL-ის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ **საქართველოში უძრავი ქონების სექტორის ეფექტური დამცავი ბარიერი არ არსებობს.** ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ კანონი არ ვრცელდება უძრავი ქონების აგენტებზე, ამის ნაცვლად საჯარო რეესტრი არის ანგარიშვალდებული უწყება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის სფეროში. შეფასების ჯგუფმა რისკად მიიჩნია, რომ უძრავი ქონების ხელშეკრულებები და მასთან დაკავშირებული გარიგებები შესაძლოა განხორციელდეს ნადდი ფულის გამოყენებით რეგულირებული ფინანსური სექტორის გვერდის ავლით.

პრევენციული ზომების თვალსაზრისით იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და ხარვეზების საპასუხოდ MONEYVAL-ის მიერ საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებს შორისაა შემდეგი:

1) *საქართველომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები (როგორებიცაა ნადდი ფულის გამოყენებისთვის ზღვარის დაწესება, დამცავი ბარიერების გამოყენება და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ სახელმძღვანელო პრინციპების გამოქვეყნება) ეკონომიკაში დიდი ოდენობით ნადდი ფულის ბრუნვით გამოწვეული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების საპასუხოდ, კერძოდ:*

- a. *საბანკო ანგარიშებზე დიდი დეპოზიტების შეტანა და საბანკო ანგარიშებიდან დიდი ოდენობით ნადდი ფულის გამოტანა;*
- b. *სავაჭრო კომპანიების მიერ ვალუტის გადამცვლელი ჩიხურების გამოყენება საქონლის უცხოურ ვალუტაში ყიდვის მიზნით;*
- c. *ნადდი ფულის გამოყენება უძრავი ქონების გარიგებებში.*

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საქმიანობის ზედამხედველობა

MONEYVAL-ის ანგარიშის მიხედვით მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს მინიჭებული აქვს სალიზინგო კომპანიების, კაზინოებისა და ძვირფასი ლითონებისა და ქვების დილერების (DPMS) ზედამხედველობა, ის არ ახორციელებს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საქმიანობაზე რაიმე ზედამხედველობას. ფინანსთა სამინისტრო ზოგადად აცნობიერებს აზარტული თამაშების სექტორში არსებულ ფულის გათეთრების რისკებს, თუმცა შეზღუდულად აღიქვამს სალიზინგო კომპანიებსა და DPMS-თან დაკავშირებულ რისკებს. ქვეყანაში არ არსებობს ლიცენზირების ან რეგისტრაციის მოთხოვნები სალიზინგო კომპანიების ან ძვირფასი ლითონებისა და ქვების დილერებისთვის. **კაზინოების ლიცენზირების მოთხოვნების კუთხით არსებული ტექნიკური ხარვეზები სერიოზულ საფრთხეს უქმნის კრიმინალების ან მათი მხარდამჭერების მიერ კაზინოს მნიშვნელოვანი ან მაკონტროლებელი წილის ფლობის ან ბენეფიციარი მესაკუთრეობის, კაზინოს ფლობის ან მართვის თავიდან აცილების ეფექტიანობას.** აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოში ამ სექტორის მნიშვნელობის გათვალისწინებით (რადგან ეს სექტორი ყველაზე შემოსავლიანია საბანკო სექტორის შემდეგ).

საქართველოში სერტიფიცირებული ბუღალტრების, იურიდიული ფირმების, ადვოკატების, ნოტარიუსებისა და აუდიტორების ზედამხედველობის დონე არათანაბარია. სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ზედამხედველობა არ ხდება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური და იუსტიციის სამინისტრო აუდიტორებისა და ნოტარიუსების საერთო ზედამხედველობის ფარგლებში შეზღუდულად ფარავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის საწინააღმდეგო ასპექტებს, თუმცა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების თვალსაზრისით სპეციალური შემოწმება არ განხორციელებულა და აღნიშნული რისკები არ განიხილება სხვა რისკებისგან დამოუკიდებლად. აუდიტორები FATF-ის რეკომენდაციებით გათვალისწინებულ საქმიანობას მხოლოდ შეზღუდული მოცულობით ახორციელებენ. ადვოკატთა ასოციაცია ინდივიდუალურ ადვოკატებთან დაკავშირებით მოკვლევას ატარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იღებს საჩივარს ან ინფორმაციას და პირდაპირ ზედამხედველობას არ ახორციელებს იურიდიულ ფირმებზე. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემოწმებულ ორგანიზაციებთან დაკავშირებით **საერთო მიდგომის არსებობას მნიშვნელოვნად უშლის ხელს მათი მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეზღუდულად გაცნობიერება და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მკაფიო საზედამხედველო ჩარჩოს არარსებობა.**

ზედამხედველობის თვალსაზრისით იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და ხარვეზების საპასუხოდ MONEYVAL-მა საქართველოსთვის გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1) *ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავოს ლიცენზირებისა და კეთილსინდისიერების შემოწმების ისევე, როგორც ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის სრულყოფილი ჩარჩო მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ყველა ორგანიზაციისთვის, განსაკუთრებით, კაზინოებისთვის;*

- 2) საქართველომ სწრაფად უნდა გადახედოს გადაწყვეტილებას ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების კონკრეტულ სექტორებზე გაუვრცელებლობის შესახებ. ტრასტის (ნდობითი ფუნქცია) და კომპანიის სერვისების მიმწოდებლები, უძრავი ქონების აგენტები, ბუღალტრები და ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერები უნდა დაექვემდებარონ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. კერძოდ, უძრავი ქონების სექტორისთვის, იურიდიული პირების დაარსებისა და მართვისთვის უნდა არსებობდეს ეფექტიანი ჩარჩო;
- 3) ადვოკატთა ასოციაციამ, იუსტიციის სამინისტრომ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა უნდა გადახედონ მათ მიერ კეთილსინდისიერების შემოწმების საკითხს, რომ კრიმინალებმა ვერ მოახერხონ ნოტარიუსად, ბუღალტრად, იურიდიული/აუდიტორული/საბუღალტრო ფირმის მფლობელად ან მმართველად მუშაობა;
- 4) ადვოკატთა ასოციაციამ უნდა შემოიღოს რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიმართულებით და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა და იუსტიციის სამინისტრომ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ ზედამხედველობის რისკზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც უნდა იყოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებზე ორიენტირებული;
- 5) საქართველომ უნდა გადახედოს შესაბამისი დაწესებულებებისთვის მინიჭებული ზედამხედველობის უფლებამოსილების ფარგლებს (გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა), რათა უზრუნველყოს პროპორციული და პრევენციული სანქციების არსებობა და გამოყენება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას;
- 6) ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ სალიზინგო კომპანიების, არაფინანსური საქმიანობისა და პროფესიების წარმომადგენლების სისტემური და სრულფასოვანი გადამზადება. ამ სექტორებთან მიმართებით ზედამხედველობა ზოგადად უნდა გაუმჯობესდეს.

იურიდიული პირები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების კონტექსტში

MONEYVAL–ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული რისკების შეფასების ანგარიში სისტემატურად არ განიხილავს რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის, ტრასტის (ნდობითი ფუნქცია) და კომპანიის სერვისების მიმწოდებლების მიერ იურიდიული პირების მართვა საქართველოში. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ეჩვენებინა, რომ ქვეყანაში რისკებისა და ხარვეზების ეფექტიანი იდენტიფიცირება და ანალიზი ხდება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხის უკეთ გაცნობიერების ხელშესაწყობად. თუმცა, კომპეტენტურ ორგანოებსა და ანგარიშვალდებულ პირებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დანაშაულებრივ სქემებში ფიქტიური შპს-ების გამოყენება წარმოადგენს ფულის გათეთრების მნიშვნელოვან რისკს.

საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია რამდენიმე საშუალებით:

- 1) საჯარო რეესტრის მეშვეობით, რომელიც აღრიცხავს იურიდიული პირის მეწილეებს;
- 2) ანგარიშვალდებული სუბიექტების მეშვეობით (ბანკები და რეესტრები), რომლებიც ექვემდებარებიან მომხმარებელთა რისკიანობის შეფასებისა და აღრიცხვის მოთხოვნებს;
- 3) უშუალოდ იურიდიული პირისგან, რომელიც აღრიცხავს საკუთარ მეწილეებს, მარამ არა ბენეფიციარ მესაკუთრეებს.

MONEYVAL-ის შეფასების ჯგუფის დასკვნით, ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციის მიღების **არსებული მექანიზმები არასანდოა, რადგან მათი მეშვეობით მიღებული ინფორმაცია ყოველთვის არ არის ადეკვატური, ზუსტი და განახლებული.**

MONEYVAL-ის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ **საქართველოში დასტურდება იურიდიული პირების, მათ შორის ფიქტიური კომპანიების, ბოროტად გამოყენება და ხელისუფლებას არ მიუღია შესაბამისი ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად.** რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში მოიცავს იურიდიული პირების შესაძლო ბოროტად გამოყენების რისკის შეფასებას. თუმცა, მასში არსებული ანალიზი საკმაოდ ზოგადია. საქართველოში ფულის გათეთრების სქემაში იურიდიული პირების ხშირი გამოყენების მიუხედავად დღემდე მხოლოდ ოთხი იურიდიული პირია პასუხისგებაში მიცემული ფულის გათეთრებისა და უკანონო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებისთვის. ზოგადად, იურიდიული პირების პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები ძალიან მცირეა. შესაბამისად, MONEYVAL-ის შეფასების გუნდის დაასკვნით, **სისხლისსამართლებრივი ზომები, მიუხედავად საჭიროებისა, არ გამოიყენება იურიდიული პირების წინააღმდეგ და შესაბამისად, იურიდიული პირების ბოროტად გამოყენების პრაქტიკის აღკვეთა ვერ ხერხდება.**

იურიდიული პირების თვალსაზრისით იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და ხარვეზების საპასუხოდ MONEYVAL-მა საქართველოსთვის გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1) საქართველომ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა იურიდიულ პირებთან (მათ შორის, ფიქტიურ კომპანიებთან) და მათ მოწყობასთან დაკავშირებული რისკების, მათ შორის, მეთოდოლოგიური საკითხების იდენტიფიცირების, შეფასებისა და გაცნობიერებისთვის. ასევე უნდა შეაფასოს, რამდენად ადეკვატურად ხდება ქვეყანაში სამართლებრივი მოწყობის ადმინისტრირება და მართვა;
- 2) საქართველომ უნდა უპასუხოს ქვეყანაში დაარსებული იმ ფიქტიური კომპანიებით გამოწვეულ გამოწვევებს, რომლებიც საქართველოში არ ფლობენ საბანკო ანგარიშებს;
- 3) საქართველომ უნდა განიხილოს ტრასტისა (ნდობითი ფუნქციის) და კომპანიის სერვისების მომწოდებლების ტიპები და მათი გამოყენების საკითხი, მათი ჩართულობა კომპანიის დაარსებასა და მართვაში და მხედველობაში უნდა მიიღოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ არსებულ მოთხოვნებთან მათი დაქვემდებარების საკითხი FATF სტანდარტების შესაბამისად;

- 4) საქართველომ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი ზომების იმპლემენტაცია მუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ნომინალურ მფლობელთა ურთიერთობების მოწესრიგებისთვის;
- 5) საქართველომ უნდა გადახედოს არსებულ სისტემას და მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს კომპეტენტური ორგანოებისთვის ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ ადეკვატური, ზუსტი და ახალი ინფორმაციის დროულად ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ისეთ კომპანიებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს ბანკებში არ ფლობენ ანგარიშებს. აღნიშნული ზომები შესაძლოა მოიცავდეს ბენეფიციარ მესაკუთრეთა ცენტრალური სისტემატიზებული მონაცემთა ბაზის შექმნას;
- 6) საქართველომ უნდა გააანალიზოს, რამდენად საფუძვლიანია იურიდიულ პირთა საკუთრებისა და ხელმძღვანელის არარეგისტრირებული ცვლილების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი პრევენციული ზომები.

დასკვნა

MONEYVAL-ის ანგარიშის ანალიზი საფუძველს გვაძლევს, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის გზით, რადგან ფულის გათეთრების რისკები, რომლებზეც ანგარიშშია საუბარი, სწორედ მაღალი დონის კორუფციული დანაშაულების საფრთხეს ქმნის. ასევე უმნიშვნელოვანესია ბენეფიციარ მესაკუთრებთან დაკავშირებით გამჭვირვალობის მაღალი დონის უზრუნველყოფა, რაზეც IDFI წლებია საუბრობს და რაზეც საუბარია MONEYVAL-ის ანგარიშშიც. უმნიშვნელოვანესია საჯარო დაწესებულებებში კეთილსინდისიერების ანალიზის განხორციელება და მასზე დაყრდნობით კეთილსინდისიერების სტრატეგიების შემუშავება, რაც USAID GGI-ს მხარდაჭერით IDFI-მ უკვე განხორციელა რამდენიმე მუნიციპალიტეტში.⁶ ამავდროულად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქვეყანაში არაფორმალური ეკონომიკის, დიდი ოდენობით ნაღდი ფულის ბრუნვის, იურიდიული პირებისა და უძრავი ქონების სფეროს ზედამხედველობის საკითხები. IDFI მოუწოდებს ხელისუფლებას, ძალისხმევა არ დაიშუროს MONEYVAL-ისა და FATF რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

⁶ აღნიშნული პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).